



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 40
28/06/2019

40-09-4-201906281903



**„თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოპარკის
გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის
ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მისაღებად
ადმინისტრაციული წარმოების დაწყების
შ ე ს ა ხ ე ბ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე მუხლისა და 106¹-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად,

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მისაღებად.
2. დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიას „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის მომზადება უზრუნველყოს 2019 წლის 15 აგვისტომდე.
3. „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ მიღების ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 31 აგვისტო.
4. „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების

პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში (მისამართი: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N41).

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

